



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

14.07.2014

№ 26

# სარჩევი

<b>საქართველო.....</b>	<b>3</b>
ეკონომიკურმა საბჭომ "ნენსკრაჰესის" პროექტი დაამტკიცა.....	3
გარემოს დაცვის სამინისტრო: ენგურჰესის წყალსაცავს ღვარცოფული პროცესები არ ემუქრება .....	3
ბოლო 4 თვის განმავლობაში 200-მდე სოფელი გამრიცხველიანდა.....	4
<b>რეგიონი .....</b>	<b>5</b>
სარემონტო სამუშაოების გამო სომხეთის ატომური სადგური დროებით მუშაობას შეაჩერებს .....	5
„მსოფლიო ბანკი“ თურქეთს გაზსაცავის მშენებლობისთვის 400 მლნ აშშ დოლარის მოცულობის სესხს უმტკიცებს.....	6
აზერბაიჯანს შეუძლია ლიდერის როლი შეასრულოს რეგიონისა და ევოპის ენერგოუსაფრთხოების საკითხში .....	7
<b>რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები .....</b>	<b>8</b>
დანახარჯების ზრდის გამო Gazprom-ის დივიდენდების გაცემა შემცირდება .....	8
რუსეთი, ყაზახეთი და ბელარუსი ელ.ენერჯის საერთო ბაზრის კონცეფციას ავითარებენ.....	10
რუსეთი ირანის გაზის ინდუსტრიაში ინვესტირებას აპირებს.....	11
<b>ევროპა .....</b>	<b>11</b>
დიდი ბრიტანეთის გენერაციაში 20% განახლებად ენერჯიებს უჭირავს .....	11
გერმანიის 2014 წლის 1 კვარტლის გამომუშავებული ენერჯის მესამედი განახლებადებზე მოდის.....	12
2030 წლისთვის ევროპამ ქსელის განვითარებაში 150 მლრდ ევროს ინვესტიცია უნდა განახორციელოს .....	13
<b>მსოფლიო.....</b>	<b>14</b>
სუფთა ენერჯიაში ინვესტიციები იზრდება .....	14
ნახშირის მოხმარება კვლავ იზრდება.....	15
<b>ანალიტიკა .....</b>	<b>16</b>
მზის პანელები ტარიფებისგან გათავისუფლდება.....	16

## ეკონომიკურმა საბჭომ "ნენსკრაჰესის" პროექტი დაამტკიცა

2015 წლის გაზაფხულიდან საქართველოში „ნენსკრას“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება.

ამის შესახებ გადაწყვეტილება ეკონომიკურმა საბჭომ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით 9 ივლისს გამართულ სხდომაზე მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციით, პროექტით მსხვილი კორეული სახელმწიფო კომპანია დაინტერესდა. მისი საინვესტიციო ღირებულება 570 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო დადგმული სიმძლავრე - 210 მეგავატი.

როგორც ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, „ნენსკრაჰესის“ მშენებლობა მიზნად ისახავს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქართველოს შიდა ბაზარზე არსებული დეფიციტის შემცირებას.

ჰესის მშენებლობა 2020 წლის ბოლოს დასრულდება. ჰიდროელექტროსადგურამდე მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოებს კი „საპარტნიორო ფონდი“ წლის ბოლომდე განაახლებს.<sup>1</sup>

## გარემოს დაცვის სამინისტრო: ენგურჰესის წყალსაცავს ღვარცოფული პროცესები არ ემუქრება



საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ხუდონის თაბაშირის საბადოს ფარგლებში მეწყერული და ღვარცოფული პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნას ენგურჰესის წყალსაცავს, არ შეინიშნება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო განმარტავს, რომ ენგურის წყალსაცავის მიმდებარე ფერდობზე არსებული ხუდონის თაბაშირის საბადოზე პერიოდულად, როგორც სხვა სალიცენზიო ობიექტებზეც, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ხორციელდება ტერიტორიის ვიზუალური გეოლოგიური კვლევა.

<sup>1</sup> <http://www.bpn.ge/ekonomika/5211-ekonomikurma-sabtcom-qnenskrahisq-proehti-daamtgica.html?lang=ka-GE>

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე ბოლო კვლევა სააგენტოს გეოლოგების მიერ 2014 წლის 16-17 ივნისს განხორციელდა. ამ ეტაპზე მასშტაბური მოპოვებითი სამუშაოები ლიცენზირებულ ფართობზე არ მიმდინარეობს.

„გეოლოგების წინასწარი შეფასებით, ხუდონის თაბაშირის საბადოს ფარგლებში მეწყერული და ღვარცოფული პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნას ენგურჰესის წყალსაცავს, არ შეინიშნება. აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დასკვნა წარმოდგენილი იქნება უახლოეს დღეებში,“ - ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალურ განცხადებაში.

სამინისტროში განმარტავენ, რომ ამის შემდგომ დადგინდება, არსებობს თუ არა კომპლექსური გეოლოგიური კვლევის ჩატარებისა და გრძელვადიანი მონიტორინგის წარმოების აუცილებლობა, როგორც საბადოს ფარგლებში, ასევე, წყალსაცავის ზონის მიმდებარე ფერდობებზე.<sup>2</sup>

#### ბოლო 4 თვის განმავლობაში 200-მდე სოფელი გამრიცხველიანდა

ინდივიდუალური გამრიცხველიანება ეტაპობრივად მიმდინარეობს. 2014 წლის მარტიდან დღემდე სს ენერგო-პრო ჯორჯიამ გაამრიცხველიანა 30 694 აბონენტი. კერძოდ, გასული 4 თვის განმავლობაში ევრო სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველები დამონტაჟდა 200-მდე სოფელში, ინვესტიციის მოცულობამ კი შეადგინა 7 673 500 ლარი.



„რეგიონების ინდივიდუალური გამრიცხველიანება გრძელდება, რადგან ის ჩვენი კომპანიისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტაგანია. ჩვენი ტექნიკური სამსახური მაქსიმალურად ცდილობს სამუშაოები წარმართოს ეფექტურად, რაც გვებმარება აბონენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში“ - განაცხადა ს.ს. ენერგო-პრო ჯორჯიას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ავთო დვალიშვილმა.

გამრიცხველიანებასთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. თუმცა, მართალია ამ ეტაპზე ქსელის რეაბილიტაცია საგრძნობლად გამოასწორებს ელექტროგომომარაგებას, მაგრამ ის მთლიანად ვერ გამორიცხავს

<sup>2</sup> <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/33134/>

უამინდობის ან სხვა მიზეზის გამო გამოწვეულ გათიშვებს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კომპანია მომავალშიც განაგრძობს ფიდერებისა და მაღალი ძაბვის ქვესადგურების რეაბილიტაციას.

2014 წლის ბოლომდე გამრიცხველიანდება კიდევ დაახლოებით 38 000 აბონენტი. კომპანია განაგრძობს გამრიცხველიანების სამუშაოების წარმოებას და 2015 წლისთვის გამრიცხველიანებული იქნება მთელი საქართველო.<sup>3</sup>

## რეგიონი

### სარემონტო სამუშაოების გამო სომხეთის ატომური სადგური დროებით მუშაობას შეაჩერებს

სომხეთის ატომური ელექტროსადგური სარემონტო სამუშაოების გამო სექტემბრიდან 45 დღით გაჩერდება.

სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, მინისტრი იარვანდ ზახარიანი 4 ივლისს ესტუმრა ატომურ სადგურს, სადაც აქციონერთა კრებას დაესწრო.



სადგურის დათვალიერების შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ სომხეთი და რუსეთი ხელს მოაწერენ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც რუსეთი სომხეთს ატომური ელექტროსადგურის სასიცოცხლო ციკლის გასაგრძელებლად სესხის სახით 300 მლნ აშშ დოლარს გამოუყოფს.

სადგურის 45 დღიანი გაჩერების შესახებ საუბრისას ზახარიანმა აღნიშნა, რომ ყველანაირად შეეცდებიან ეს ვადა შეამცირონ, თუმცა ეს რა თქმა უნდა არ მოხდება უსაფრთხოების ხარჯზე.

მინისტრმა ასევე ისაუბრა ახალი ატომური სადგურის მშენებლობის შესახებაც და აღნიშნა, რომ პროექტი დაახლოებით 4.5 მლრდ აშშ დოლარი დაჯდება.

<sup>3</sup> <http://www.energo-pro.ge/ka/2014/through-last-4-months-up-to-200-villages-were-re-metered/>

„რუსული მხარე პროექტში მასალისა და შესაბამისი აღჭურვილობის მოწოდებით მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ჩვენი შენატანი პროექტში სხვადასხვა ქვეყნებთან მოლაპარაკება და მათგან ინვესტიციის მოზიდვა იქნება,“ - განაცხადა ზახარიანმა.

ახალი ატომური სადგურის მშენებლობა სავარაუდოდ 2018-2019 წლებში დაიწყება.<sup>4</sup>

## „მსოფლიო ბანკი“ თურქეთს გაზსაცავის მშენებლობისთვის 400 მლნ აშშ დოლარის მოცულობის სესხს უმტკიცებს

„მსოფლიო ბანკმა“ განაცხადა, რომ თურქეთის მიწისქვეშა მარილით მდიდარ ფორმაციაში გაზსაცავის პროექტის დამატებით დასაფინანსებლად 400 მლნ აშშ დოლარის მოცულობის სესხს გამოყოფს.

400 მლნ-იან სესხს თურქეთი 16 წლის განმავლობაში გადაიხდის და მას 8 წლიანი საშეღავათო პერიოდი ექნება. სესხი თუზ გოლუს ტბის (მარილიანი ტბა), რომელიც მსოფლიოში სიდიდით ერთ-ერთი უდიდესი მარილიანი, ხოლო თურქეთში - სიდიდით მეორე ტბაა, მიმდებარე ტერიტორიაზე გაზსაცავის მოწყობას მოხმარდება.



თურქეთს, ჩინეთის შემდეგ, ყველაზე ზრდადი ენერგეტიკული მოთხოვნა ახასიათებს და ქვეყანა ცდილობს 2023 წლამდე განახლებადი ენერჯის წილი ენერგეტიკულ მიქსში 30%-მდე გაზარდოს.

<sup>4</sup> <http://news.am/eng/news/217823.html>

„მსოფლიო ბანკის“ მიზანია თურქეთი მოამზადოს მზარდ ენერგეტიკულ მოთხოვნასთან გასამკლავებლად და სწორედ ამიტომ მისი დაფინანსება გაზსაცავისა და განახლებადი ენერჯის ინფრასტრუქტურული ქსელის განვითარების პროექტებს ხმარდება.

თუზ გოლუს მიწისქვეშა საცავის აშენება სამხრეთ-ცენტრალურ თურქეთში, მარილიანი ტბის სიახლოვეს მიწისქვეშა მარილიან ფორმაციაში იგეგმება და დასრულების შემდეგ მას შესაძლებლობა ექნება ენერგეტიკული მოთხოვნის დასაკმაყოფილებელ 960 მლნ კუბ.მ ბუნებრივ აირთან ერთად შეინახოს 460 მლნ კუბ.მ. აირი (ბუნებრივი აირის მინიმალური მოცულობა, რომელიც საჭიროა გაზსაცავის ეფექტურად მუშაობისთვის მასში აირის ჩატუმბვისა და ამოტუმბვის დროს შესაბამისი წნევის შესაქმნელად).

გაზსაცავს შესაძლებლობა ექნება 20 დღის განმავლობაში დღიურად 40 მლნ კუბ.მ. ბუნებრივი აირი მიაწოდოს ქვეყანას, ხოლო მისი შევსება 25 დღის განმავლობაში იქნება შესაძლებელი დღიურად 30 მლნ კუბ.მ-ის ოდენობით.

ამჟამად თურქეთი ენერგეტიკული მოთხოვნის 43%-ს ბუნებრივი აირის მეშვეობით, 25-25%-ს ქვანახშირითა და ჰიდროელექტროსადგურებით, ხოლო 7%-ს ენერჯის განახლებადი წყაროებით იკმაყოფილებს და აქედან გამომდინარე ქვეყანაში გაზსაცავის მოწყობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>5</sup>

## აზერბაიჯანს შეუძლია ლიდერის როლი შეასრულოს რეგიონისა და ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხში

დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკის მინისტრმა მაიკლ ფოლონმა, რომელიც ბაქოში სტუმრად იმყოფებოდა, განაცხადა, რომ აზერბაიჯანთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება.

მისი აზრით, აზერბაიჯანსა და დიდ ბრიტანეთს შორის თანამშრომლობა კარგი, ძლიერი და გრძელვადიანია, რადგანაც ორივე ქვეყანა გულითადად იღწვის თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.

ურთიერთობის განვითარებაზე საუბრისას, მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ აზერბაიჯანს აქვს შესაძლებლობა ლიდერის როლი შეასრულოს რეგიონისა და ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხში.

<sup>5</sup><http://www.hurriyetdailynews.com/world-bank-approves-400-million-for-turkeys-gas-storage.aspx?pageID=238&nID=68649&NewsCatID=348>

ფოლონმა ასევე ხაზი გაუსვა უკრაინასა და ერაყში მიმდინარე მოვლენებსაც და დასძინა, რომ ეს ყველაფერი ევროპას ენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიცირებისკენ უბიძგებს, რადგანაც მას სურს შეამციროს არასტაბილურ მომწოდებლებზე დამოკიდებულება. ყოველივე ეს კი დადებითად აისახება აზერბაიჯანზე და კიდევ უფრო აახლოებს მას ევროპასთან.

ფოლონმა ასევე ისაუბრა შაჰ-დენიზის პროექტის შესახებ და სიხარულით აღნიშნა, რომ როგორც მისი, ასევე სამხრეთის გაზის დერეფნის პროექტების განვითარება კვლავ გრძელდება. მან თქვა, რომ სექტემბერში მნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნება - 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საუკუნის კონტრაქტს (აზერი-ჩირადი-გუნემლის საბადოების განვითარების კონტრაქტი) მოწერა ხელი და მას სჯერა, რომ აზერბაიჯანი და დიდი ბრიტანეთი სხვა ახალ შეთანხმებებსაც დადებენ და მათი ურთიერთობა და მეგობრობა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება.<sup>6</sup>

## რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

### დანახარჯების ზრდის გამო Gazprom-ის დივიდენდების გაცემა შემცირდება

2016 წელს მსოფლიოში გაზის ყველაზე დიდმა მწარმოებელმა Gazprom-მა შესაძლოა რუსეთის მთავრობის მიერ პროგნოზირებულზე ნაკლები დივიდენდი გასცეს, რისი მიზეზიც ძირითადად საექსპორტო მილსადენებისთვის ინვესტიციების ზრდაა. ფინანსთა მინისტრის პროგნოზით, 2016 წელს კომპანიისგან დივიდენდის სახით 2.5 მლრდ აშშ დოლარს ელოდებიან - 32%-ით ნაკლებს ვიდრე თავდაპირველი პროგნოზით იყო დაგეგმილი (3.66 მლრდ აშშ დოლარი). Bloomberg News-ის მონაცემებით, ერთ აქციაზე გათვალისწინებით შემოსავალი 0.27 აშშ დოლარი იქნება.

ჩინეთში გაზსადენის მშენებლობისა და აღმოსავლეთ ციმბირში საბადოების განვითარების მიზნით კომპანიას 55 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება აქვს დაგეგმილი, რაც ძირითადად იმოქმედებს მომავალი დივიდენდების შემცირებაზე. გარდა აღნიშნული პროექტებისა, Gazprom-ი ევროკავშირთან ახალი გაზსადენის South Stream-ის მშენებლობას აპირებს, რომლის ღირებულება 22 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

2015 წელს სახელმწიფო მონოპოლისტისგან დივიდენდის სახით 2.02 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით დივიდენდის მიღებას პროგნოზირებს, რაც 2014 წლის

<sup>6</sup> <http://en.trend.az/capital/energy/2293004.html>




დივიდენდის პროგნოზთან შედარებით 5%-ით მეტია და ერთ აქციაზე 0.22 აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება 2017 წელს, ამ პერიოდში ფინანსთა მინისტრის გათვლებით სახელმწიფომ Gazprom-ისგან 2.73 მლრდ აშშ დოლარის დივიდენდი უნდა აიღოს, რაც ერთ აქციაზე 0.3 აშშ დოლარის ეკვივალენტურია.

### რუსული სტანდარტები:

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო კომპანიების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი დივიდენდების მოცულობა იანგარიშება რუსეთის სააღრიცხვო სტანდარტების მიხედვით, თუმცა ამასთან დაკავშირებით დეტალები საჯარო არ არის. გადასახდელი თანხის პროცენტი ყველა გათვლების საფუძველზე შემცირებულია, რომელიც მანამდე მოგებიდან მინიმუმ 25%-ის გადახდას ითვალისწინებდა.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სახელმწიფო მმართველობის ქვეშ არსებულ კომპანიებს ბიუჯეტში გადახდების გაზრდის მიზნით 2016 წლიდან მოგების მინიმუმ 35% უნდა გადაეხადათ, თუმცა ამ რეგულაციას რუსეთის ეკონომიკის მინისტრმა მხარი არ დაუჭირა.

### Gazprom-ის აქციონერები



გასულ წელს რუსული სტანდარტების მიხედვით კომპანიის მოგებამ 18.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ეს რიცხვი 33.5 მლრდ აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო. Gazprom-ის აქციები 8 ივლისის მდგომარეობით 0.7%-ით - 4.4 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ამჟამად ბრუნვაშია კომპანიის 23.7 მლნ აქცია.<sup>7</sup>

<sup>7</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/russia-cuts-forecast-for-gazprom-dividend-as-spending-rises/>

## რუსეთი, ყაზახეთი და ბელარუსი ელ.ენერჯის საერთო ბაზრის კონცეფციას ავითარებენ

ყაზახეთმა, რუსეთმა და ბელარუსმა საერთო ელექტროენერჯის ბაზრის კონცეფციის განვითარება დაიწყეს, რომლის გაშვება 2019 წლისთვისაა დაგეგმილი. ევრაზიის ეკონომიკური კომისიის ნავთობისა და გაზის საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა, რომელსაც ყაზახეთის ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დანიალ ახმეტოვი ხელმძღვანელობდა, 9 ივლისს ჩატარდა, სადაც აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით განხილვები გაიმართა.

„ელექტროენერჯის საერთო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი კონცეფცია ქვეყნის პრეზიდენტებს 2015 წლის 1 ივლისს უნდა წარედგინოს, 2016 წლის 1 იანვრამდე ბაზრის შექმნის პროგრამა უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო 2019 წლისთვის პროექტი საბოლოოდ უნდა დასრულდეს,“ - განაცხადა ახმეტოვმა.



კონცეფციის განვითარების პროცესში სამივე ქვეყანა გაითვალისწინებს აშშ-ის, ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპისა და ანალოგიური ბაზრების გამოცდილებას, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია რუსეთის, ყაზახეთისა და ბელარუსისთვის. ახმეტოვის განცხადებით, აღნიშნულ ქვეყნებს ელ.ენერჯის კარგი შიდა გადამცემი ხაზები აქვთ, რაც საბჭოთა კავშირიდან დარჩათ. გარდა ამისა, ერთიანი ტექნოლოგიური სტანდარტები და რეგულაციები კიდევ უფრო გააადვილებს საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას. მან აქვე ისიც აღნიშნა, რომ ეს პროექტი ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანების განვითარების ერთგვარი კატალიზატორი იქნება.

საერთო ბაზრის ფარგლებში შიდა მოხმარებისთვის ელ.ენერჯის სატარიფო განაკვეთი ერთნაირი იქნება სამივე ქვეყნის მოსახლეობისთვის.<sup>8</sup>

<sup>8</sup> <http://en.trend.az/regions/casia/kazakhstan/2292764.html>

## რუსეთი ირანის გაზის ინდუსტრიაში ინვესტირებას აპირებს

ირანის სახელმწიფო გაზის კომპანიამ რუსეთის ორ კომპანიასთან ირანში გაზის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე შეთანხმებას ხელი მოაწერა. ირანის ნავთობის მინისტრის მოადგილის ჰამიდრეზა არაქის განცხადებით, რუსული მხარის წარმომადგენლები ქვეყანას უახლოეს მომავალში ეწვევიან, რათა ადგილზე გაეცნონ სამომავლო პროექტებს. არაქის ცნობით, აღნიშნული შეთანხმება რუსულ კომპანიებთან ჯერ კიდევ მოსკოვში გამართულ „მსოფლიო ნავთობის“ კონფერენციაზე შედგა, სადაც ორივე მხარემ დიდი ინტერესი გამოთქვა გაზის ინდუსტრიაში თანამშრომლობის საკითხზე.. არაქის განცხადებაში არაფერი იყო ნათქვამი, თუ კონკრეტულად რომელი კომპანია ირანის გაზის სექტორით დაინტერესებული (სავარაუდოა შემდეგი რუსული კომპანიები: Gazprom-ი, Rosneft-ი, Novatek-ი. ეს ორი უკანასკნელი აქტიურად ჩაერთო გაზის სექტორში და მონოპოლისტ Gazprom-ს დიდ კონკურენციას უწევენ (ავტ.)).


აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასულ წელს ირანის ნავთობის მინისტრმა ბიჯან ნამდარ ზანგანეჰმა ირანის ნავთობისა და გაზის სექტორში უცხოური ინვესტიციების გაზრდის მიზნით შესაბამის სამსახურებს ხელშეკრულებების პირობების შეცვლის ინსტრუქცია მისცა. ამ დროისთვის სპეციალურად შექმნილი კომისია ახდენს ხელშეკრულების ცვლილებას.<sup>9</sup>

## ევროპა

### დიდი ბრიტანეთის გენერაციაში 20% განახლებად ენერჯიებს უჭირავს

გენერაციის სიმპლავრის ზრდამ, ქარის მაღალმა სიჩქარეებმა და დაბალმა მოთხოვნამ დიდი ბრიტანეთის ელექტროენერჯიის გენერაციაში განახლებადების წილის თითქმის 20%-მდე ზრდა გამოიწვია.

„ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის“ მონაცემების მიხედვით, 2014 წლის პირველ მეოთხედში განახლებადებიდან გამომდინარე ელ.ენერჯიამ მთლიანი ელ.ენერჯიის



<sup>9</sup> <http://en.trend.az/capital/energy/2292381.html>

მიქსში 19.4%-ს მიაღწია, რომელიც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (12.4%) მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აღნიშნული ზრდა ძირითადად წინა წელთან შედარებით ქარის სიმძლავრეების 14.5%-იანმა და გაზრდილი ქარის სიჩქარის გამო მსგავსი სადგურების მიერ (სახმელეთო და საზღვაო (ოფშორული)) გენერაციის 11 ტვტ.სთ-მდე ზრდამ განაპირობა, (2013 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 57%-ით გაიზარდა). განახლებადების წილის ზრდა 2014 წლის პირველ კვარტალში, ასევე მთლიანი გენერაციის 101.7 ტვტ.სთ-დან 93.3 ტვტ.სთ-მდე შემცირებით იყო განპირობებული.

ქარის სახმელეთო სადგურების წილმა განახლებადების მთლიან გამომუშავებაში (18 ტვტ.სთ) 37% შეადგინა და დიდი ბრიტანეთის ქსელს 6.6 ტვტ.სთ ელექტროენერგია შემატა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2013 წლის მესამე კვარტალში ამ სადგურებმა მხოლოდ 2.7 ტვტ.სთ ელექტროენერგია აწარმოეს, მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია. ქარის საზღვაო (ოფშორული) სადგურების წილი მთლიანად განახლებადი ენერჯის წყაროებში 53%-ს შეადგენს.

მზის ფოტოელექტრული პანელებიდან მიღებული ელ.ენერჯის რაოდენობა 77%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად მათი დადგმული სიმძლავრის 60%-ით ზრდამ (3.5 გვტ-მდე) განაპირობა. ჰესების გამომუშავებაც ზუსტად იმდენჯერ გაიზარდა, რამდენჯერაც მზის სადგურების, თუმცა ამ პერიოდში ჰესების ახალი სიმძლავრეების დამატება არ მომხდარა.

2014 წლის 1 კვარტლის ბოლოს დიდი ბრიტანეთის განახლებადი ენერჯის წყაროების დადგმული სიმძლავრე 20 751 მგვტ-ია, და აქედან ბოლო 12 თვის მანძილზე სისტემას 2 748 მგვტ სიმძლავრე დაემატა. მთლიან დადგმულ სიმძლავრეში ქარის სახმელეთო სადგურებზე მოდის 37%, ოფშორულზე - 18%, მზის სადგურებზე 17%, ხოლო ბიომასის სადგურებზე - 10%.<sup>10</sup>

## გერმანიის 2014 წლის 1 კვარტლის გამომუშავებული ენერჯის მესამედი განახლებადებზე მოდის

2014 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში გერმანიის ელ.ენერჯის გამომუშავების დაახლოებით 31% განახლებად ენერჯიებზე მოდის. ასეთი მაღალი მაჩვენებელი განახლებადების მზარდმა განვითარებამ და ქარისა და მზის სადგურებისთვის ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა განაპირობა. პირველად გერმანიაში, წლის პირველ კვარტალში განახლებადების მიერ გამომუშავებულმა

<sup>10</sup> <http://cleantechnica.com/2014/07/08/renewable-energy-share-uks-electricity-generation-inches-closer-20/>

ელექტროენერჯიამ მურა ნახშირზე მომუშავე სადგურების გამომუშავებას გადააჭარბა. ქარისა და მზის სადგურებზე გამომუშავების 27%, ხოლო ჰიდროსადგურებზე 4% მოდის.

გერმანიაში განახლებადი ენერჯიები სტაბილურად ზრდას განაგრძობს. 2014 წლის პირველი 6 თვის მანძილზე, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, მზის სადგურები გაიზარდა 28%-ით, ხოლო ქარის სადგურები 19%-ით. შედეგად, გერმანიამ განახლებად ენერჯიებთან მიმართებაში რამდენიმე რეკორდი დაამყარა. ყველაზე შესამჩნევი იყო ის ფაქტი, რომ მაისის თვეში განსაკუთრებით მზიან და ქარიან დღეში ქვეყნის გამომუშავების 74% განახლებადებზე მოდიოდა.

თუმცა, გერმანიის ენერჯეტიკაში ყველაფერი სახარბიელო როდია. მურა ნახშირზე მომუშავე სადგურების გამომუშავებას კვლავ მაღალი წილი უკავია, რომელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე 5%-ით მაღალი იყო. მზარდი იყო ელ.ენერჯიის ექსპორტი, რომელმაც 18 ტვტ.სთ შეადგინა.<sup>11</sup>

## 2030 წლისთვის ევროპამ ქსელის განვითარებაში 150 მლრდ ევროს ინვესტიცია უნდა განახორციელოს

Entso-e-ის განცხადებით, ევროპის ქსელის ოპერატორებმა 2030 წლისთვის მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებში 150 მლრდ ევროს (204 მლრდ აშშ დოლარი) ოდენობის ინვესტიცია უნდა განახორციელონ, რათა განახლებადების საშუალებით ევროკავშირის მოთხოვნის 60%-ის დაკმაყოფილება მოხდეს. „ეს კი საბოლოო მომხმარებლების საგადამხდელო ტვირთს ყოველ მეგავატზე 1.5-2 ევროთი გაზრდის, რაც საბითუმო ფასის 2%-იანი ზრდის ტოლია“ - ნათქვამია „2014 წლის ევროპის ქსელის განვითარების გეგმაში“.



გეგმაში წარმოდგენილ 120 პროექტში ინვესტირება ამჟამად არსებულ შეზღუდულ ბაზარს დამატებით 30-დან 100 ტვტ.სთ-მდე განახლებადი ენერჯიიდან მიღებულ ელექტროენერჯიას შემატებს. ეს არის იმ ენერჯიის შეფასება, რომლის მიწოდებაც შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო მომხმარებლებს არ მიეწოდება. Entso-

<sup>11</sup> <http://www.the9billion.com/2014/07/09/renewables-generated-one-third-of-germanys-power/>

e-ის განცხადებით, ამ პროექტებში ინვესტირება აღნიშნულ შეზღუდვებს (ენერჯის არ მიწოდება) 1%-მდე დაიყვანს, რაც ენერჯო ბაზრის ლიკვიდურობას გაზრდის და შეზღუდავს ფასის ცვალებადობას.

გეგმაში ევროკავშირის ელ.ენერჯის სისტემის განვითარების ოთხი სცენარია განხილული, რომელიც ეყრდნობა ენერჯეტიკული და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ეროვნულ და საერთო ევროპულ დონეზე შემუშავებას, ასევე თუ რამდენად ძლიერი იქნება განახლებადი ენერჯიების ხელშეწყობა. სცენარები ძალიან განსხვავებულ დაშვებებს მოიცავს, რომლის შედეგადაც რეალური სარგებელი შესაძლოა დიდად განსხვავებული იყოს, ვიდრე ეს გეგმაშია წარმოდგენილი.

ევროპის წლიურ ელ.ენერჯის მოთხოვნაში განახლებადების წილი 2013 წლის 30%-დან 2030 წლისთვის 40-60%-მდეა დაგეგმილი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ევროპა რომელი სცენარით განვითარებას აირჩევს. ოქტომბერში ევროკავშირის ლიდერებმა 2030 წლისთვის ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების მიზნები უნდა განსაზღვრონ.<sup>12</sup>

## მსოფლიო

### სუფთა ენერჯიაში ინვესტიციები იზრდება

კომპანია Clean Energy Pipeline-ის გამოთვლებით, სუფთა ენერჯიაში



ინვესტიციებმა 2014 წლის მეორე კვარტალისთვის 66.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2012 წლის შემდეგ უდიდესი მაჩვენებელია. 2012 და 2013 წლებში ინვესტიციები სუფთა ენერჯიაში მცირდებოდა. მეორე კვარტალში 2014 წლის პირველი 6 თვის მონაცემი წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით 8%-

ით გაიზარდა.

საერთაშორისო განახლებადი ენერჯის სააგენტოს (IRENA) მონაცემების მიხედვით, განახლებადების ზრდა არამარტო კლიმატის, არამედ ქვეყნების ფინანსური მდგომარეობის გამოჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

<sup>12</sup> <http://www.platts.com/latest-news/electric-power/brussels/europe-must-invest-eur150-billion-in-power-grids-26831152>

სამხელეთო ქარის ინდუსტრია განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა 2014 წელს, რომლის დაფინანსებამაც ჯამში 18 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. ქარის სახმელეთო სადგურების ინდუსტრიაში 2014 წელს დაფინანსებული პროექტებიდან აღსანიშნავია ეთიოპიის 300 მგვტ-იანი სადგური, რომლისთვისაც ჯამში 1.3 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყო და მექსიკაში „ვენტიკას“ ქარის 252 მგვტ-იანი ელექტროსადგური, რომელზეც 650 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი.

2014 წელს მრავალი პროექტი დაიწყო განახლებადი ენერჯების ინდუსტრიაში, ბევრმა ქარისა და მზის ენერჯის კომპანიამ კარგ მაჩვენებლებს მიაღწია. ეს წელი განახლებადი ენერჯების ზრდაში შესაძლოა რეკორდული წელი აღმოჩნდეს, თუმცა მნიშვნელოვანია წლის მეორე ნახევარშიც განვითარების იგივე ტემპები შენარჩუნდეს.<sup>13</sup>

## ნახშირის მოხმარება კვლავ იზრდება

განახლებადი ენერჯების შესახებ გამუდმებით ვრცელდება ინფორმაცია მათი წილის ზრდის, ხარჯების შემცირების და სხვა ფაქტების შესახებ, მაგრამ ამ დამამედებელი ინფორმაციის პარალელურად არ უნდა გამოგვრჩეს ნახშირის მოხმარების ზრდაც. წინა წელს ნახშირი წიაღისეულ საწვავებს შორის ყველაზე სწრაფად მზარდი ენერჯო რესურსი იყო. ამ ინფორმაციის წყარო BP-ის წლიური ენერჯეტიკული მიმოხილვაა. BP-ის ანგარიშის მიხედვით, განახლებადი ენერჯის წყაროები მსოფლიო ენერჯის მხოლოდ 5%-ს აწარმოებენ.

BP-ის მიხედვით, განვითარებადი ქვეყნები არიან ნახშირის მოთხოვნის ძირითადი განმსაზღვრელები, რადგან აღნიშნული ენერჯის წყარო ყველაზე იაფია. უკანასკნელი დეკადების განმავლობაში ნახშირის მოხმარებამ თავის მაქსიმუმს მიაღწია - მთელი მსოფლიოს ენერჯის მოხმარების დაახლოებით 30.1%-ს.

სხვა წყაროების მიხედვით, იაპონია არის მსოფლიოს უდიდესი ინვესტორი ნახშირის ინდუსტრიაში. ასევე გერმანია, სამხრეთ კორეა და რუსეთი გვევლინებიან, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორები ნახშირით ენერჯის წარმოების დარგში.



<sup>13</sup> <http://cleantechnica.com/2014/07/10/clean-energy-investment-reaches-highest-point-since-2012/>

იაპონია და გერმანია არიან დიდი რვიანის წევრები (რუსეთი გარიცხეს უკრაინის მოვლენების შემდეგ) თავიანთი ძლიერი ეკონომიკის გამო. ასე რომ BP-ის ანგარიშის დასკვნა, რომ მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები არიან ნახშირის მოხმარებაში მთავარი „დამნაშავეები“, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ენერჯიაზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება და ქვეყნები მის დაკმაყოფილებას იაფი რესურსით ცდილობენ. ნახშირის მოხმარება განვითარებად სამყაროში განსაკუთრებით დიდია აფრიკისა და ლათინური ამერიკის რეგიონში.

მსოფლიო ბანკმა განვითარებად ქვეყნებში ნახშირის ინდუსტრიისთვის კრედიტის გამოყოფაზე შეზღუდვები დააწესა. მსოფლიო ბანკის წამომადგენელმა გამოთქვა საკუთარი აზრი შექმნილ სიტუაციაზე: „მე პირადად მალეღვებს ნახშირის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია, რადგან მე ვზრუნავ ჩემი შვილების მომავალზე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირის გარეშე ზოგიერთი ქვეყანა ვერ შეძლებს ენერჯიის მიღებას, განსაკუთრებით აფრიკაში და ჩვენ ამას ვაცნობიერებთ.“<sup>14</sup>

## ანალიტიკა

### მზის პანელები ტარიფებისგან გათავისუფლდება

აშშ, ევროკავშირი და კიდევ 12 ქვეყნის მთავრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) იწყებს მოლაპარაკებებს, რომელიც მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯიების მოწყობილობების - ქარის ტურბინების, მზის პანელების ვაჭრობაზე ტარიფების მოხსნას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა, რომლებზეც მსოფლიო ვაჭრობის 86% მოდის, მოლაპარაკების პროცესი შენევაში დაიწყეს. 2013 წელს აშშ-მ ექპორტზე გაიტანა 106 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქარის ტურბინები, მზის

პანელები და დაბინძურებული წყლის ფილტრები.

პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია იწყებს ახალ ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებაზე



<sup>14</sup> <http://cleantechnica.com/2014/07/07/coal-power-still-increasing-globally/>



მოქმედი ფაქტორების ზეგავლენის შემცირებას. განახლებადი ენერჯის მოწყობილობებზე ტარიფების გაუქმებაც ერთ-ერთია ამ ინიციატივებიდან. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ასევე მუშაობენ ნახშირის მოხმარების შემცირებაზე და ნახშირის ელექტროსადგურების მუშაობის შემცირებაზე.

უკანასკნელ წლებში აშშ, ჩინეთი და ევროკავშირის 28 ქვეყანა ჩაბმული იყო მზის პანელების საერთაშორისო ბაზარზე არსებული დავების განხილვაში. ახალი ინიციატივა გაამარტივებს პროცედურებს და მწარმოებლებს უფრო მეტი სარგებლის მიღების საშუალება ექნებათ.

აშშ-ს სავაჭრო პალატის ინფორმაციით, განახლებადი ენერჯისა და გარემოს „მეგობარი“ ტექნოლოგიების ღირებულების 35% ტარიფებზე მოდის. აზია-წყანი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალი წლის ბოლოს 54 გარემოსდამცავ ტექნოლოგიაზე ტარიფები 5%-ით შემცირდება. მომავალში იგეგმება სიის გაფართოება.

ზემოთ ნახსენები მოლაპარაკებების ინიციატორები აშშ-ს, ჩინეთსა და ევროკავშირთან ერთად არიან WTO-ს წევრები: ავსტრალია, კანადა, კოსტა-რიკა, ჰონ კონგი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ახალი ზელანდია, ნორვეგია, სინგაპური, შვეიცარია და ტაივანი.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> <http://www.renewableenergyworld.com/rea/news/article/2014/07/new-global-trade-negotiations-aim-for-tariff-free-solar-panels>